



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030600605240619

30 / აპრილი / 2019 წ.

თბილისი #06-86/თ

**ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოძრავი ქონების სარგებლობაში
გადაცემის შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შთავრების 2010 წლის 1 ოქტომბრის N 302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს (შემდგომში-ცენტრი) სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონება თანდართული დანართის შესაბამისად, გადაეცეს გურჯაანის, დედოფლის წყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და ყვარლის მუნიციპალიტეტების მერიებს სარგებლობაში უვადოდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების საჭიროებისათვის.
2. ცენტრი, ამ ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას ბალანსიდან იხსნის ქონების გაცემის მომენტიდან.
3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმონერის უფლებამოსილება მიენიჭოს ცენტრის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს ზურაბ ზარიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმონერის დღიდან.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასანიჭრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი:

1. სასაქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის გიორგი წოჭკოლაურის 2019 წლის 19 აპრილის № 01/6963 წერილი;
2. ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის ეკატერინე ჟორჟოლიანის 2019 წლის 08 აპრილის #4676 მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე